

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

სწავლების მეთოდები საშუალო სკოლაში

ქეთევან ჭკუასელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი;

თინათინ დოლიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის დოქტორანტი

ანოტაცია

განათლების რეფორმამ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში უამრავი ახალი ტერმინი შემოიტანა. უცხოური მასალების არაპროფესიულმა თარგმანმა, პედაგოგიკის ძირეულ ტერმინთა არასწორი ინტერპრეტაცია და აღრევა გამოიწვია. განსაკუთრებით რთულ ვითარებაში აღმოჩნდა საშუალო სკოლის პედაგოგიური კადრი, რომელიც სხვადასხვა ოფიციალურ გამოცემაში ამა თუ იმ ტერმინის სხვადასხვა ინტერპრეტაციას ხვდება. ბოლო დრომდე არ არის შექმნილი ერთიანი ქართული პედაგოგიური ტერმინოლოგია. წარმოდგენილი ნაშრომი ეხება პედაგოგიკის მეცნიერების ისეთი საკვანძო საკითხებისა და ცნებების განმარტებასა და დაზუსტებას, როგორცაა სწავლების მეთოდი, სწავლების ტექნოლოგია, სწავლების სტრატეგია, აქტიური სწავლება.

საკვანძო სიტყვები: დიდაქტიკა, სწავლების მეთოდები, სწავლების ტექნოლოგიები, სწავლების სტრატეგიები

2000-იანი წლებიდან საქართველოში დაიწყო განათლების რეფორმა. რეფორმამ ყოფილ საბჭოთა საგანმანათლებლო სივრცეში უამრავი განსხვავებული ტერმინი შემოიტანა, თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინების ცვლილებით სწავლების პროცესის არსობრივი ცნებები, რომლებიც მეცნიერულ გააზრებას ექვემდებარებიან, არ იცვლებიან და მხოლოდ განსხვავებული ტერმინებით აღინიშნებიან. ეს პროფესიები გააღრმავა და გაართულა ისეთმა უსერიოზულესმა პრობლემამ, როგორცაა ქართველი მოსახლეობის მიერ ინგლისური ენის არცოდნა. ქართველი კაცი, რომელიც ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ისტორიულად ყოველთვის რამდენიმე ენას ფლობდა, ბოლო ორი საუკუნის მანძილზე, ფაქტობრივად რუსული ენის ანაბარად დარჩა. რუსული სივრციდან გამოსვლის შემდეგ, ბუნებრივია, საჭირო გახდა მსოფლიოში საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე მოვლენების ევროპულ ენებზე და, უპირატესად, ინგლისურ ენაზე

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

გაცნობა, რაც საკმაოდ რთულ პროცესებთანაა დაკავშირებული. საქმე ისაა, რომ ენის ცოდნა სრულიად არასაკმარისი პირობაა ამა თუ იმ პროფესიული ლიტერატურის თარგმნისათვის. ამასთან, საჭირო და აუცილებელია არა მხოლოდ ენის, არამედ პროფესიული ტერმინოლოგიის ცოდნა, რაც საგანმანათლებლო დარგში თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან სხვადასხვა ქვეყანაში ერთი და იმავე შინაარსის მქონე უწყება თუ ცნება, ხშირად სხვადასხვა ტერმინით აღინიშნება. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, რეფორმის განხორციელების პროცესში, უპირატესად ჩაერთნენ ადამიანები არა პროფესიული ნიშნით, არამედ ერთადერთი, ენის ცოდნის ნიშნით. ცხადია, ამ ყველაფერს მოჰყვებოდა სერიოზული ხარვეზები საგანმანათლებლო პროცესებში, რაც აისახა კიდევ საქართველოს განათლების სისტემის ხარისხობრივ მაჩვენებელზე სისტემის ყველა რგოლში.

ქართული საგანმანათლებლო სივრცე აივსო ტერმინებით და ფრაზებით, რომლებიც ხშირად სრულიად გაუგებარია პროფესიული საზოგადოებისათვის. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სკოლის მასწავლებელი, რომელსაც სხვადასხვა არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაცია უტარებს ე.წ. ტრენინგებს ამა თუ იმ პროგრამით და თითოეული პროგრამის ტრენერი ან თარჯიმანი მისთვის მისაღები ტერმინოლოგიით საუბრობს. ამასთან, სხვადასხვა ლიტერატურაში სწავლების მეთოდების, ტექნოლოგიებისა და სტრატეგიების სხვადასხვა ინტერპრეტაციები გვხვდება, რამაც სერიოზული დაბნეულობა გამოიწვია არასპეციალისტ მკითხველში. ბოლო წლებამდე არავის უფიქრია, რომ ქვეყანაში შეიმუშაონ ერთიანი პედაგოგიური ტერმინოლოგია, რომელიც შეჯერებული იქნება საერთაშორისო საგანმანათლებლო ტერმინოლოგიასთან და ცხადია, პედაგოგიკის იმ ძირითად ცნებებთან, რომლითაც სარგებლობდნენ ქართველი მასწავლებლები. ასეთ ვითარებაში, ვფიქრობთ, წარმოდგენილ სტატიაში, პედაგოგიკის მეცნიერების პოზიციებიდან, განვმარტოთ და განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ისეთი ტერმინები, როგორცაა „სწავლების მეთოდი“, „სწავლების ტექნოლოგია“, „სწავლების სტრატეგია“. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სამწუხაროდ, საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ ლიტერატურაში ამჟამად ეს ტერმინები სინონიმებად აღიქმება და არავინ უწყის, როგორ და რა ვითარებაში გამოიყენებს მათ ესა თუ ის პირი.

პედაგოგიკის მეცნიერების ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილია დიდაქტიკა. **დიდაქტიკა სწავლობს განათლებისა და სწავლების თეორიასა და პრაქტიკას.** სიტყვა „didasco“ ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს დამრიგებლობას, ხელმძღვანელობას, სწავლებას. დიდაქტიკა, ანუ განათლებისა და სწავლების თეორია და პრაქტიკა, პასუხობს კითხვებს: 1. ვინ უნდა აღვზარდოთ? 2. რა უნდა ვასწავლოთ? 3. როგორ უნდა ვასწავლოთ? 4. ვინ უნდა

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

ასწავლოს? ფაქტობრივად, სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესი ამ კითხვებით ხასიათდება.

პირველი კიტხვა - ვინ უნდა აღვზარდოთ (**განათლების მიზანი**) განისაზღვრება სახელმწიფო პოლიტიკით და, შესაბამისად, აისახება კონსტიტუციაში, განათლების ეროვნულ მიზნებში და განათლების კანონში. შემდეგი კითხვა - რა უნდა ვასწავლოთ (**განათლების შინაარსი**) ცხადია, ექვემდებარება პირველ კითხვას, ანუ განათლების მიზანს და აისახება ეროვნულ სასწავლო გეგმაში, საგნობრივ და პროფესიულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელოებში. მესამე კითხვაც, როგორ უნდა ვასწავლოთ, ცხადია, ექვემდებარება პირველ კითხვას და მოიცავს სწავლების პრინციპებს, **სწავლების მეთოდებს, სწავლების ტექნოლოგიებს, სწავლების სტრატეგიებს**, სწავლების ორგანიზაციის ფორმებს და შემოწმებისა და შეფასების სისტემას. მეოთხე კითხვა - ვინ უნდა ასწავლოს, ნათელია, რომ მასწავლებელს გულისხმობს. მასწავლებელი, როგორც სახელმწიფოს მიერ დაქირავებული პირი, ვალდებულია სწავლების პროცესში გაატაროს პირველი სამი კითხვის მოთხოვნები, მაგრამ ახალს არაფერს ვიტყვით, თუ აღვნიშნავთ, რომ სწორედ მასწავლებლის ერუდიციაზე, მის პიროვნულ თვისებებზე, პროფესიულ და პედაგოგიურ ცოდნაზეა დამოკიდებული სწავლება/სწავლის პროცესის წარმატების ხარისხი.

ამჯერად განვიხილავთ სწავლების მეთოდის ცნებას და, ამ ცნებაზე დაყრდნობით, შევეცდებით გავანალიზოთ სწავლების ტექნოლოგიებისა და სწავლების სტრატეგიების ცნებები, დავაკონკრეტოთ თითოეული ცნების შინაარსი და გავმიჯნოთ ისინი ერთმანეთისაგან. აქვე შევჩერდებით აქტიური სწავლების ფენომენზე. ჩვენეული ხედვა, ცხადია, ეფუძნება ლიტერატურაში არსებული მასალის ანალიზს.

მეთოდი ბერძნული სიტყვაა (metodos) და, ზოგადად, ნიშნავს გზას, ხერხს, საშუალებას, რომელსაც ადამიანი იყენებს დასახული მიზნის მისაღწევად და განსახორციელებლად. სწავლების მეთოდი დ. ლორთქიფანიძის ავტორობით გამოცემულ დიდაქტიკაში ასე განიმარტება: “სწავლების მეთოდი არის მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის ცოდნა-ჩვევების გადაცემისა და გადაცემულის მოსწავლეთა მიერ შეთვისების გზა, ხერხი, საშუალება. რამდენადაც **სწავლა აღზრდის ძირითადი გზაა, იმდენად, ბუნებრივი და გასაგებია, რომ სწავლების მეთოდი, ამავე დროს, გარკვეული მნიშვნელობით, აღზრდის მეთოდიცაა, აღზრდის ძირითადი გზაცაა.** (2.198.)

როგორც ვხედავთ, მეთოდის ამგვარი მნიშვნელობა სრულად ეხმიანება სწავლების კონკრეტული საფეხურის ბოლოს განსაზღვრული კომპეტენციების ფორმირებას მოსწავლეებში. ამა თუ იმ საფეხურის შედეგი მხოლოდ სწორად შერჩეული სწავლების შესაბამისი მეთოდით მიიღწევა. სწორედ ამიტომ უნდა იცოდეს მასწავლებელმა, რომელი კომპეტენციის მისაღწევად, სწავლების რომელი მეთოდი უნდა გამოიყენოს.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

“სწავლების მეთოდთა კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნით ხდება. მაგ., **გნოსეოლოგიური პრინციპების მიხედვით** - ინდუქციური და დედუქციური, სითეზური და ანალიზური, **მასწავლებლისა და მოსწავლის მოქმედიალობის ხასიათის მიხედვით** - ახსნი-ილუსტრაციული, ანალიზურ-ძიებითი, პრობლემური, კვლევითი მეთოდები, **სწავლების სახეების მიხედვით** - ახალი მასალის ახსნის, განმეორების, ცოდნის შემოწმება-შეფასების და სხვ.”(2.201.) უნდა აღინიშნოს, რომ სწავლების მეთოდთა ყველა კლასიფიკაციას აქვს ერთი მიზანი, კერძოდ მოსწავლეთა მიერ ცოდნის შეძენა და ამა თუ იმ უნარ-ჩვევების განვითარება. დ. ლორთქიფანიძე მიიჩნევს, რომ დიდაქტიკაში ყველაზე მეტად მიღებულია **სწავლების მეთოდთა კლასიფიკაცია ცოდნა-ჩვევების ძირითადი წყაროების მიხედვით**.

ვიდრე ამ საკითხს განვიხილავდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, მოკლედ მაინც, წარმოვადგინოთ სწავლების პროცესის რაობა, კერძოდ, თეორიები, რომლებიც სწავლების პროცესის შემეცნების პროცესებთან მიმართებას განიხილავენ. მოვიტანთ ამონარიდს დ. ლორთქიფანიძის „დიდაქტიკიდან“ - „შემეცნების, როგორც სინამდვილის მეცნიერული ასახვის, ისტორიული პროცესისა და სწავლების პროცესის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ურთიერთისაგან პრინციპულად განსხვავებული სამი შეხედულება ჩამოყალიბდა.

ერთნი აიგივებენ შემეცნებასა და სწავლებას, უფრო სწორად - სწავლას და ავითარებენ ე. წ. რეკაპიტულაციის თეორიას, რომლის მიხედვითაც სწავლა უნდა წარმოადგენდეს ისეთ პროცესს, რომელიც ხელახლა იმეორებს იმ გზას, ახდენს იმ გზის რეკაპიტულაციას, რაც ისტორიულად განვლო შემეცნებამ. ეს თეორია მოითხოვს, რომ მოსწავლე თვითონს მივიდეს იმის აღმოჩენამდე, რისთვისაც ადამიანს თავისი ისტორიული განვითარების მანძილზე უკვე მიუღწევია, მოუპოვებია, - ხელახლა აღმოაჩინოს ჭეშმარიტებანი, რაც უკვე დიდი ხანია აღმოჩენილია, დადგენილი და პრაქტიკით შემოწმებულია. ეს თეორია მიუღებელია არა მარტო იმის გამო, რომ ის, საზოგადოდ, ანტიდიალექტიკურია, არამედ იმიტომაც, რომ ამ თეორიის მიღება უარყოფა, უარისთქმა იქნებოდა იმ ცოდნა-ჩვევების დაუფლებაზე, რაც კაცობრიობამ შეიმუშავა თავისი განვითარების მანძილზე და თაობიდან თაობას გადასცა; ეს იქნებოდა აღმოჩენილის აღმოჩენის დაუსრულებელი პროცესი, ფაქტიურად საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ წერტილზე გაყინვა.

მეორენი თიშავენ სწავლას შემეცნებისაგან და აღიარებენ მას სრულიად დამოუკიდებელ ავტონომიურ პროცესად, ავითარებენ სწავლისა და შემეცნების წყაროებისა და გზების სრული განსხვავებულობის თეორიას. ეს თეორიაც აგრეთვე

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

ანტიდიალექტიკური და მიუღებელი თეორიაა, რადგან იგი მეცნიერებასა და მის შეთვისებას ურთიერთისაგან წყვეტს, ფაქტიურად უსაგნოს, უშინაარსოს ხდის სწავლებას.

წინააღმდეგ ამ არასწორი თეორიებისა, მ ე ს ა მ ე ნ ი, უარყოფენ როგორც ე. წ. რეკაპიტულაციის (ე. ი. სწავლებისა და შემეცნების გაიგივების), ასევე მათი დაპირისპირების, ურთიერთისაგან მოწყვეტის თეორიებს და თვლიან, რომ ეს პროცესები არა იგივეობრივი, არა ურთიერთისადმი დაპირისპირებული პროცესებია, არამედ ურთიერთისაგან განსხვავებული, მაგრამ ძირითადად ერთიანი გნოსეოლოგიური კანონზომიერებით შეპირობებული პროცესები, მიიჩნევენ, რომ სწავლების ბუნებასა და მის კანონზომიერებას განაპირობებს შემეცნების საერთო კანონზომიერება.“

ვინაიდან ზემოთ მოტანილი განმარტებიდან ჩანს, რომ სწავლების ბუნებასა და მის კანონზომიერებას განაპირობებს შემეცნების საერთო კანონზომიერება, ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება სწავლების მეთოდთა კლასიფიკაცია დაუქვემდებაროთ არა ცოდნა-ჩვევათა ძირითად წყაროებს, როგორც ამას დ.ლორთქიფანიძე აღნიშნავს, არამედ შემეცნების ძირითად წყაროებს, რაც, ფაქტობრივად, ცოდნა-ჩვევების ძირითადი წყაროცაა, მაგრამ, ჩვენ აზრით, უფრო ზუსტად გამოხატავს სწავლების მეთოდის მიმართებას შემეცნების პროცესთან. ადამიანის მიერ გარე სამყაროს შემეცნება, ძირითადად, ოთხი ძირითადი წყაროს საშუალებით ხორციელდება. ესენია: სიტყვა; წიგნი და, საერთოდ, წერილობითი წყაროები; მოვლენებსა და საგნებზე დაკვირვება; პრაქტიკულ საქმიანობაში მონაწილეობა და დასკვნების გაკეთება.

ამ წყაროების შესაბამისად, დ. ლორთქიფანიძე გვთავაზობს შესაბამის მეთოდებს: 1.მასწავლებლის ცოცხალი სიტყვა; 2. წიგნი და საერთოდ წერილობითი წყაროები; 3.მოვლენებსა და საგნებზე უშუალო დაკვირვება; 4. შრომა-საქმიანობის სხვადასხვა დარგში პრაქტიკული მონაწილეობა.

შემეცნების ძირითად წყაროებს სწავლების მეთოდთა შემდეგი ჯგუფები შეესაბამება:

1.ზეპირსიტყვიერი, ვერბალური მეთოდები, რომლებიც იყოფა 2 ჯგუფად:

ა) თხრობითი მეთოდი; ბ) საუბრის მეთოდი.

2.წიგნზე მუშაობის მეთოდები:

ა) ახსნითი კითხვის მეთოდი; ბ) დამოუკიდებელი კითხვის მეთოდი.

3.საგნებსა და მოვლენებზე უშუალო დაკვირვებითი მეთოდები:

ა)ლაბორატორიული მეთოდი; ბ) დემონსტრირების მეთოდი.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

დემონსტრირების მეთოდის სახეობა: ცდების დაყენება მასწავლებლის მიერ, ვიდეომასალების ჩვენება, დინამიკური ხასიათის სასწავლო-დიდაქტიკური მასალა, საგნებზე ახსნა-განმარტებითი მუშაობა.

4. შრომითი და პრაქტიკულ-ვარჯიშობითი მეთოდები (სწავლების ყველა ის ფორმა, რომელიც მოსწავლეს პრაქტიკული უნარ-ჩვევებს უყალიბებს): შრომის გაკვეთილები, ცდის დაყენება, მიწის ნაკვეთზე მუშაობა და სხვ.

გნოსეოლოგია (gnosis - ცოდნა, შემეცნება + logos მოძღვრება) - მოძღვრება შემეცნების შესახებ, ცოდნის შეძენის შესახებ

ზემოთ ჩამოთვლილ მეთოდებს ემატებაა წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც წარმოადგენს დანარჩენი მეთოდებით შეძენილი ცოდნის განმტკიცებას, ძირითადად მისი რეალიზაციისა და ვარჯიშის საშუალებით.

5. წერითი მუშაობის მეთოდი.

საშუალო სკოლაში წერითი მუშაობის სახეობა: დამოუკიდებელი წერა, შემაჯამებელი წერა, პერიფრაზირება, მოკლე შინაარსი, ესეი, შედარებითი ანალიზი, დახასიათება და სხვა

მეთოდის შერჩევა სწავლების პროცესში განპირობებულია სწავლების პროცესის მიზნით, ამოცანებით, საგნის სპეციფიკით, შესასწავლი მასალის შინაარსით და ა.შ. ამა თუ იმ საფეხურის შედეგი მხოლოდ სწორად შერჩეული სწავლების შესაბამისი მეთოდით მიიღწევა.

სწავლება/სწავლის პროცესში, რომელიმე კონკრეტული საკითხისა თუ მოვლენის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. მასწავლებელს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება და შერწყმა. მაგ., გაკვეთილზე მასწავლებელი მასალას მონოლოგით ვიზუალური პრეზენტაციის ფორმით წარმოადგენს, იმართება დისკუსია, მოსწავლე დავალებას ასრულებს წიგნზე მუშაობით, წერითი მუშაობით და სხვა. ამრიგად, სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. სწავლება, როგორც წესი, ხდება რამდენიმე მეთოდის კომბინაციით. სწორედ ესაა სწავლების ტექნოლოგია, ანუ მეთოდთა ერთიანობა, სხვადასხვა დროს კონკრეტულ მეთოდთა სხვადასხვაგვარი კომბინაცია. ტექნოლოგიას ყოველთვის მასწავლებელი ირჩევს. სიტყვა ტექნოლოგია (ბერძნული, techne-ხელოვნება, ოსტატობა, უნარი და ლოგიკა) ენციკლოპედიაში განიმარტება, როგორც ხელოვნება, ოსტატობა. მამასადამე, სწავლების შემთხვევაში ტექნოლოგიის ამ მნიშვნელობის გადატანა ნიშნავს, რომ სწავლების პროცესში ტექნოლოგია მასწავლებლის ხელოვნებაა.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

ისტორიულად, თავდაპირველად პედაგოგიური ტექნოლოგია გათანაბრებული იყო სწავლების პროცესში ტექნიკური და ინფორმაციული საშალებების გამოყენებასთან:

- 1950–1960 წწ. ამერიკა, **Technology in education** - ტექნოლოგია სწავლების პროცესში
- 1960–1970 წწ. ამერიკა, საბჭოთა კავშირი - პროგრამირებული სწავლება.

1970–1980 წწ. შეიცვალა ტექნოლოგიის მნიშვნელობა. კერძოდ, გაჩნდა ტერმინები - საგანმანათლებლო ტექნოლოგია, სწავლების ტექნოლოგია - **Technology of Education** - პედაგოგიური ტექნოლოგიის ახლებური გააზრება. მაშასადამე, **სწავლების ტექნოლოგია შეიძლება განიმარტოს, როგორც მეთოდთა ერთიანობა, სხვადასხვა დროს კონკრეტულ მეთოდთა სხვადასხვაგვარი კომბინაცია.**

ტექნოლოგია მასწავლებლის ხელოვნებას წარმოადგენს. სწავლების ტექნოლოგიას მასწავლებელი ქმნის და იგი არასოდეს შემოიფარგლება რომელიმე ერთი მეთოდით.

მაგალითად, თანამედროვე სასკოლო პრაქტიკაში ძალზე ხშირად გამოიყენება ჯგუფური მუშაობა, რომელსაც ხშირად მეთოდს უწოდებენ. სინამდვილეში კი ჯგუფური მუშაობა ტექნოლოგიაა, რომელიც შეიძლება შედგებოდეს წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის, ზეპირსიტყვიერი (დიალოგი და პრეზენტაცია), დამოუკიდებელი შრომითი საქმიანობის(პრეზენტაციის ვიზუალიზაცია) მეთოდების სხვადასხვაგვარი კომბინაციით. იგივე შეიძლება ითქვას სასწავლო პროექტზე, რომელსაც პროექტის მეთოდს უწოდებენ, ტუმცა ჩვენი განმარტების თანახმად, იგი ტექნოლოგიაა. **სასწავლო პროექტის ტექნოლოგია** შეიძლება მოიცავდეს წიგნზე მუშაობის, საგნებზე და მოვლენებზე უშუალო დაკვირვების და სხვ. მეთოდების სხვადასხვაგვარ კომბინაციებს.

მეცნიერული თვალთახედვით, სწავლების ტექნოლოგია ეფუძნება იმ მეთოდოლოგიას, ფილოსოფიურ საფუძველებს, რომლებსაც ეყრდნობა და იყენებს მასწავლებელი სწავლების პროცესში. თანამედროვე პედაგოგიურ სივრცეში გავრცელებულია ისეთი ტექნოლოგიები, როგორცაა ბიჰევიორიზმი, კონსტრუქტივიზმი, ჰუმანისტური თეორია, სოციალური დასწავლის თეორია, პრაგმატიზმი და სხვ., თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სწავლების პროცესში, როგორც წესი, ვერ ხერხდება ერთი რომელიმე ფილოსოფიის თანმიმდევრულად გატარება, ვინაიდან სხვადასხვა თეორია ხშირად ფარავს და ერწყმის ერთმანეთს. სასწავლო პროცესის თითოეული ამ ტექნოლოგიით წარმართვისას მასწავლებელი, ბუნებრივია, მიმართავს როგორც ზეპირ სიტყვას, ასევე წიგნს და ილუსტრაციას, ლაბორატორიულ მუშაობას და სხვ., მეთოდს. მაშასადამე, მეთოდები უცვლელია, ხოლო მათი კომბინაციით ხორციელდება ესა თუ ის ტექნოლოგია.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

ისტორიულად, განათლების მიზნებიდან გამომდინარე, სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები იცვლებოდა და იცვლება. მაგ., შუა საუკუნეებში გამეფებული იყო მასალის დაზეპირების (ზეპირსიტყვიერი) მეთოდი. ბურჟუაზიულ ეპოქაში შეიცვალა მოთხოვნები ადამიანის შრომითი საქმიანობის მიმართ და, შესაბამისად, შეიცვალა სწავლების მეთოდები. ნაცვლად ზეპირობისა, სწავლების პროცესი ცოდნის პრაქტიკული (პრაქტიკულ-ვარჯიშობითი) გამოყენების უნარების ფორმირებაზე აიგო. სხვაგვარი მოთხოვნებია თანამედროვე პირობებში და სხვა დაკვეთებია სწავლების მეთოდთა წინაშეც. მაგრამ, არც ერთ ეპოქაში არ იცვლება თავად სწავლების მეთოდის დანიშნულება, იცვლება მხოლოდ მიზანი, რომელიც დგას სწავლების პროცესის წინაშე. ეს პროცესი, ბუნებრივია, იწვევს მეთოდების შინაარსის გამრავალფეროვნებასა და გამდიდრებას, რაც სრულიადაც არ ნიშნავს თავად მეთოდის ტრადიციული არსის ცვლილებას. მეთოდი, როგორც სწავლების უნივერსალური საშუალება, იგივე რჩება.

აუცილებლად მიგვაჩნია შევეხოთ თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში გავრცელებულ ტერმინს – **სწავლების აქტიური მეთოდები**. ჩვენი აზრით, სწავლების არააქტიური მეთოდები არ არსებობს. სწავლება, როგორც ცოდნის გადაცემისა და შეთვისების ერთიანი პროცესი, თავად გულისხმობს აქტიურობას. ყველა მეთოდი აქტიურია, თუ მას მასწავლებელი მიზნობრივად შეარჩევს და გამოიყენებს. ჩვენი აზრით, აქ უმჯობესია ვიხმაროთ ტერმინი **სწავლების აქტივიზაციის ხერხები**, ვინაიდან სწავლების პროცესში, მართლაც საჭირო ხდება ისეთი მიდგომების მოძიება, რომელიც სწავლების პროცესის აქტიურობას გააძლიერებს და გაზრდის მოსწავლის ინტერესებს, რადგან სწავლების (აქტივობის) პროცესი მისთვის არ წარმოადგენდეს უბრალოდ მოვალეობის მოხდას, არამედ მან ეს აქტივობა უნდა გააძლიეროს და მიზანმიმართული გახადოს. **სწავლების აქტივიზაციის ხერხებად** შეიძლება დავასახელოთ მოსწავლეთა სწავლების პროცესში ისეთი ტექნოლოგიების ჩართვა, როგორებიცაა ჯგუფური მუშაობა, როლური თამაშები, პრობლემური სწავლება და სხვ. ყველა ეს ტექნოლოგია, საბოლოო ჯამში, მიმართულია მოსწავლეთა მოტივაციისა და ინტერესის გაზრდაზე, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს მოსწავლეთა აქტივობას.

კიდევ ერთი ტერმინი, რომელზეც უნდა შევჩერდეთ, **სწავლების სტრატეგიაა**.

სტრატეგია - (**strategia** - ბერძ. **stratus**-ჯარი - **ago**- მიმყავს) - სამხედრო დაგეგმვას მოიაზრებს. თუ სიტყვის ამ მნიშვნელობას გავიზიარებთ, სწავლების სტრატეგია პროცესის ამა თუ იმ ხედვით დაგეგმვას უნდა ნიშნავდეს. **სწავლების სტრატეგია** - მასწავლებლის მიერ მოქმედების გეზის არჩევა, სასწავლო პროცესის დაგეგმვა, მიმართულების მიცემა. მაგ., სწავლების სტრატეგიაა სწავლების პროცესის წარმართვა:

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

- ჯგუფური მუშაობის ტექნოლოგიით,
- გონებრივი იერიშის გზით,
- ზეპირსიტყვიერი და წიგნზე მუშაობის მეთოდებით

და სხვ.

თითოეულ შემთხვევაში მასწავლებელმა გადაწყვიტა, რომ გაკვეთილის მიზანს მიაღწევს ამა თუ იმ ტექნოლოგიის გამოყენებით, რომელიც, თავის მხრივ, სხვადასხვა მეთოდთა კომბინაციით მიიღწევა.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ

- სწავლების მეთოდი წარმოადგენს ცოდნის შეძენის გზას, ხერხს, რომელიც ეფუძნება შემეცნების წყაროებს, და, შესაბამისად, შეიძლება იყოს **ზეპირსიტყვიერი, წიგნზე მუშაობის, მოვლენებსა და ფაქტებზე უშუალო დაკვირვების და დამოუკიდებელი შრომითი საქმიანობის**, ასევე, წერიტი სამუშაო;
- სწავლების ტექნოლოგია წარმოადგენს მეთოდთა ერთიანობას, სხვადასხვა დროს კონკრეტულ მეთოდთა სხვადასხვაგვარ კომბინაციას, მასწავლებლის ხელოვნებას, რომელიც ეფუძნება მასწავლებლის ხედვას, ფილოსოფიას.
- სწავლების სტრატეგია წარმოადგენს მასწავლებლის მიერ მოქმედების გეზის არჩევას, სასწავლო პროცესის დაგეგმვას, მიმართულების მიცემას.

დასასრულს, აღვნიშნავთ, რომ ნებისმიერ მასწავლებელს თამამად შეუძლია ისარგებლოს სწავლების მეთოდთა იმ კლასიფიკაციით, რომელსაც ის იზიარებს, თუმცა მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ შემოთავაზებული სწავლების მეთოდთა კლასიფიკაციის ვერსია ყველაზე უკეთ გამოხატავს სწავლების მეთოდთა არსსა და კანონზომიერებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. М.В. Буланова – Топоркова.....Педагогические технологии, Москва, 2004.
2. დ. ლორთქიფანიძე, დიდაქტიკა, თბილისი, 1981.
3. http://en.wikipedia.org/wiki/Teaching_method
4. <http://serc.carleton.edu/sp/library/pedagogies.html>
5. <http://education.ge>
6. <http://www.mondofacto.com/dictionary/contents/learning+method.html>
7. <http://www.tla.ed.ac.uk/resources/course-org/Chapter8.pdf>